

განმარტებითი ბარათი

„მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავების მიზეზია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის მომზადება რომლის თანახმად, სატენდერო მოსაკრებელი იმოქმედებს 2010 წლის 1 დეკემბრამდე ნაცვლად 1 სექტემბრისა.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

„მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები მიზნად ისახავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტით განხორციელებულ ცვლილებებთან „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს საერთო სახელმწიფოებრივი მოსაკრებლებიდან სატენდერო მოსაკრებლის ამოღებას, კერძოდ, ხდება კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ამოღება 2010 წლის 1 დეკემბრიდან ნაცვლად 2010 წლის 1 სექტემბრისა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადელის ოდენობის განსაზღვრის წესი

